საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ნებიერიძე - კოლეგიის წევრი

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ჰ. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.12.22

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 116/22

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ მ. ჩ.-ს /სიითი №/ და ზ. კ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ჩ.-სთვისა და ზ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 29 დეკემბერს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ჰ. ს.-მა და მოითხოვა ადვოკატების მ. ჩ.-სა და ზ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორს პრეტენზია აქვს თავისი ყოფილი უფლებადამცველების მიმართ.

1.2 საჩივრის თანახმად ჰ. ს. 2021 წლის 26 მაისს დააკავეს და მოათავსეს დროებით იზოლატორში, სადაც მას მოპასუხე ადვოკატებიდან ერთ-ერთი შეხვდა და ოჯახის მიერ აყვანილ, მის უფლებადამცველად გააცნო თავი. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა მას ფსიქოლოგიური ზეწოლით, აიძულა ეთანამშრომლა გამომძიებელთან და ეღიარებინა დანაშაული, რომელიც არ ჩაუდენია. ადვოკატი არწმუნებდა, რომ საქმის მასალებში არსებობდა ვიდეოკადრები, რომლებიც ასახავდა დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მაშინ როდესაც ასეთი ვიდეოკადრები არც გამოძიებისა და არც უშუალოდ სასამართლო წარმოებისას არ წარმოუდგენია ბრალდების მხარეს. საჩივრის თანახმად, ადვოკატი ირწმუნებოდა, რომ მომჩივანის მიერ ჩადენილი ქმედება აუცილებლად გამოიწვევდა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომას. საჩივრის ავტორი იხსენებს ადვოკატის ფრაზას: „სიკვდილით დასჯა არ არის, თორემ სიკვდილითაც დაგსჯიდნენ, შენ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო...“.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატთან შეხვედრისას ის იმყოფებოდა მძიმე ფსიქოემოციურ მდგომარეობაში, სცადა თვითმკვლელობა და მსგავს ვითარებაში ვერ იაზრებდა მიღებულ ინფორმაციას, შესაბამისად მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, მან ადვოკატი თავის ოჯახის წევრებს დააკავშირა და თავად ის არ შესთანხმებია მას მომსახურეობის შინაარსა თუ გადასახდელ ჰონორარზე, არათუ მის ოდენობაზე. მოგვიანებით მომჩივანამა ოჯახის წევრებისგან შეიტყო, რომ ადვოკატებმა წინასწარ აიღეს „სახარჯად“ 1000 აშშ დოლარი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას წერილობითი ფორმით საადვოკატო მომსახურეობის შესახებ ხელშეკრულება ადვოკატებთან არ გაუფორმებია და 2021 წლის 31 მაისით დათარიღებული ხელშეკრულება არის ყალბი, რადგან მას მოცემული დოკუმენტისთვის ხელი არ მოუწერია. ამასთან, მომჩივანის განმარტებით, ადვოკატები არ დასწრებიან წინასასამართლო სხდომას, არ მოუპოვებიათ მტკიცებულებები და არც მტკიცებულებათა ოქმი გაუცვლიათ პროკურორისთვის, მათ მხოლოდ საქმეზე გაუთქმელობის ხელწერილს მოაწერეს ხელი, დისტანციურად დაესწრნენ აღკვეთი ღონისძიების ეტაპზე სასამართლო სხდომას და მისი ინტერესების გათვალისწინების გარეშე, მასთან შეუთანხმებლად მიიღეს გადაწყვეტილება გირაოს გადახდის თაობაზე - 50 000 დოლარის ოდნობით. მომჩივანის განმარტებით აღნიშნული მოქმედებები არ შეიძლება, 5 000 აშშ დოლარის პროპორციულ მომსახურეობად ჩაითვალოს.

1.5 მომჩივანის განმარტებით, მას შემდეგ, რაც ოჯახმა 2021 წლის 29 მაისს მის დასაცავად სხვა ადვოკატები აიყვანა, მან უარი განაცხადა ადვოკატ მ. ჩ.-სა და ზ. კ.-ს მომსახურეობაზე. ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, ზ. კ.-მ და მ. ჩ.-მ, 2022 წლის 10 მაისს, სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიას და არარსებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე მოითხოვეს მისთვის 5 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატები მ. ჩ. და ზ. კ., N--- სამოქალაქო საქმის პროცესზე, ცინიკურად მიმართავდნენ მომჩივანს, აყენებდნენ მას შეურაცხყოფას, მოიხსენიებდნენ მატყუარად და დამნაშავედ. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ადვოკატებმა, როგორც უშუალოდ მისი დაცვის პერიოდში, ასევე სამოქალაქო დავისას განხორციელებული ქმედებებით, დაარღვიეს პროფესიული ეთიკა, რის საფუძველზეც ითხოვს მათ დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2023 წლის 16 იანვარს, ადვოკატებმა მ. ჩ.-მა და ზ. კ.-მა წარმოადგინეს წერილობითი ახსნა-განმარტება, ხოლო 2023 წლის 1 მარტს მონაწილეობა მიიღეს საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

2.2 ადვოკატები ადასტურებენ, რომ გამოძიების ეტაპზე, ისინი ნამდვილად იცავდნენ, ჰ. ს.-ს ინტერესებს. ადვოკატები ბრალდებულს პირველად 2021 წლის 26 მაისს, დროებითი დაკავების იზოლატორში შეხვდნენ. 27 მაიისს გამომძიებელმა ადვოკატების თანდასწრებით წარუდგინა ბრალი მომჩივანს, ბრალდებულმა კი ადვოკატების რჩევით, დუმილის უფლება გამოიყენა.

2.3 მ. ჩ. და ზ. კ. უარყოფენ, მათი მხრიდან ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტს და განმარტავენ, რომ მომჩივანის მიერ საჩივარში მითითებული თითოეული ფაქტობრივი გარემოება, სინამდვილესთან შეუსაბამოა. ადვოკატების განმარტებით, მათ არ მოუთხოვიათ ბრალდებულისთვის აღიარებითი ჩვენების მიცემა, და არ მიუმართავთ მისთვის, საჩივარში ციტირებული ფრაზებით.

2.4 მოპასუხე ადვოკატების განმარტებით, მომჩივანის პრეტენზიების სინამდვილესთან შეუსაბამობას ადასტურებს ისიც, რომ 2021 წლის 26 მაისიდან, საჩივრის შეტანის დღემდე, ჰ. ს.-ს ადვოკატების მიმართ რაიმე სახის პრეტენზია არ გამოუთქვამს. ადვოკატების ახსნა-განმარტების თანახმად, ყოფილმა კლიენტმა, ეთიკის კომისიაში საჩივარი მხოლოდ მას შემდეგ შემოიტანა, რაც ადვოკატებმა ჰონორარის გადაუხდელობის გამო სამოქალაქო დავა წამოიწყეს სასამართლოში. ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ მომჩივანი, ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის გზით, ცდილობს თავიდან აირიდოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

2.5 ადვოკატები უარყოფენ, მომჩივანის პრეტენზიას აღკვეთის ღონისძიების სახით, გირაოს თანხის მასთან შეუთანხმებლად განსაზღვრასთან დაკავშირებით და განმარტავენ, რომ მათი თითოეული ქმედება შეთანხმებული იყო ყოფილ კლიენტთან. მ. ჩ.-სა და ზ. კ.-ს განმარტებით, მათ სასამართლოს, მომჩივანთან შეთანხმებით შესთავაზეს, აღკვეთის ღონისძიების ნაკლებად მსუბუქი სახის - გირაოს, გამოყენება, თუმცა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეარჩია, რაც საერთოდ არაგონივრულს ხდის საჩივრის ავტორის მხრიდან გირაოს თანხის ოდენობაზე აპელირებას.

2.6 ადვოკატთა განცხადებით, ჰ. ს. ცრუობს ხელშეკრულების სიყალბესთან დაკავშირებით. ისინი უშუალოდ ბრალდებულს შეუთანხმდნენ საადვოკატო მომსახურეობის პირობებზე და მასთან დადეს ხელშეკრულებაც. ადვოკატები განმარტავენ, რომ უსასყიდლოდ საქმის წარმოება, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, ლოგიკას მოკლებულია და მომჩივანს ვერ ექნებოდა იმის მოლოდინი, რომ მას იურიდიულ მომსახურებას ჰონორარის გადახდის გარეშე გაუწევდნენ ადვოკატები. ამასთან, ადვოკატების განმარტებით, მომჩივანი ცრუობს, როდესაც ის მიუთითებს მისი ოჯახის მიერ 1 000 აშშ დოლარის გადახდაზე.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატები ზ. კ. /სიითი №/ სპეცილიზაცია-საერთო და მ. ჩ. /სიითი №/ სპეციალიზაცია-სისხლის სამართალი, არიან სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრები.

3.2 ჰ. ს.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 29 დეკემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წლის მაისში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატების, მ. ჩ.-სა და ზ. კ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატები დროებითი დაკავების იზოლატორში, ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდნენ მასზე, რათა ბრალდებულს გამოძიებისთის სასარგებლო ჩვენება მიეცა და ადვოკატებმა N- --- სამოქალაქო საქმის წარმოებისას, შელახეს მომჩივანის პატივი და ღირსება

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატების მ. ჩ.-სა და ზ. კ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობითი ვალდებულება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი)

ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი მე-5მუხლის „ა“ წვეპუნქტი და მე- 3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი)

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მე-3 მუხლი)

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლის 5)

5.3 კლიენტი, ადვოკატს, როგორც სპეციალური ცოდნის მქონე პირს, დახმარებას სთხოვს იმგვარ საკითხებში, სადაც მას თავად არ გააჩნია მათი მოგვარებისთვის შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. ადვოკატი კლიენტის „დაუცველი“ ინტერესების გარანტორად გვევლინება და მისი ნებისა და ინტერესების შესაბამისად, მისთვის სასურველი შედეგის მისაღწევად, იყენებს თავის პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას. საადვოკატო მომსახურეობის გაწევისას, ის რითიც ადვოკატმა უპირატესად უნდა იხელმძღვანელოს არის კლიენტის ინტერესები და მათი თანხვედრა კანონთან. სხვა ყველა დანარჩენი, იქნება ეს თავად ადვოკატის პირადი თუ მესამე პირების ინტერესები, მეორეხარისხოვანია და მათ კონკურენცია ვერ უნდა გაუწიონ კლიენტის ინტერესებს.

5.4 ადვოკატმა კეთილსინდისიერი ქმედებებით, მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს კლიენტთან ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბება და საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაშიც, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, რაც პროფესიის საერთო კორპორაციული ინტერესებიდან მომდინარეობს. ადვოკატს, პროფესიული ეთიკა, კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარე, აკისრებს კლიენტისადმი გულისხმიერებისა და ემპათიურად, განწყობის ვალდებულებას. ადვოკატს ეკისრება ვალდებულება უპირატესად კლიენტის ინტერესებით იხელმძღვანელოს და არ დააყენოს თავისი თუ მესამე პირის ინტერესები მასზე მაღლა.

5.5 საპროცესო კოლეგია იზიარებს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებას საქმეზე №ას-20-2021, რომლის მიხედვითაც „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსკ-ის 102). კანონი განსაზღვრავს, თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაამტკიცოს... მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის

დადგომა, მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც კანონი უკავშირებს მოსარჩელის მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.“

5.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ მტკიცების სტანდარტი საპროცესო ეტაპზე, დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უფრო დაბალია, ვიდრე განხილვის ეტაპზე. საპროცესო ეტაპზე სადავო ფაქტის დასადგენად, კომისია ხელმძღვანელობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. ამ დროს მტკიცებულებათა გადაჭარბება უნდა იყოს არსებითი, განპირობებული მხარის მიერ წარმოდგენილი ან მოკვლევის მიზნით გამოთხოვილი მტკიცებულებების სარწმუნოებიდან და უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ ფაქტებთან შესატყვისობასა და ურთიერთ შესაბამისობას.

5.7 მომჩივანის პრეტენზიით დროებითი დაკავების იზოლატორში, ადვოკატები ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდნენ მასზე, რათა მას გამოძიებისთის სასარგებლო ჩვენება მიეცა და ადვოკატებმა N--- სამოქალასო საქმის წარმოებისას, შელახეს მომჩივანის პატივი და ღირსება.

5.8 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა და პატივისა და ღირსების შელახვისაკენ მიმართული ქმედებების მტკიცების ტვირთი ეკისრება ჰ. ს.-ს, რომელიც უთითებს, რომ ადვოკატებმა პროფესიული ეთიკის ნორმები დაარღვიეს. ჰ. ს.-ს იმ ფაქტების მითითებისა და დადასტურების ვალდებულება გააჩნია, რომელებზეც ის თავის მოთხოვნას ამყარებს.

5.9 კონკრეტულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი უთითებს, ფაქტებს, რომლებიც თავის მხრივ მტკიცებულებებით არ არის გამყარებული. მხოლოდ საჩივრის ავტორის ახსნა განმარტება, მაშინ როდესაც მოპასუხე ადვოკატები არ ეთანხმებიან საჩივარში აღწერილ გარემოებებს, არ უქმნის კოლეგიას საკმარის საფუძველს, მიიჩნიოს საპროცესო ეტაპზე მტკიცების სტანდარტი დაკმაყოფილებულად. მოპასუხე ადვოკატები უარყოფენ მომჩივანისთვის შეურაცხყოფის მიყენებისა თუ მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტს. საჩივრის ავტორს, საკუთარი ახსნა-განმარტების გარდა, არ აქვს წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელებიც მის მიერ აღწერილ ფაქტებს გაამყარებდნენ და მისცემდნენ საპროცესო კოლეგიას მათი შეფასების შესაძლებლობას. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ვინაიდან საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე, ჰ. ს.-ს მიერ წარმოდგენილი პრეტენზიები, არათუ მტკიცებულებათა არსებითი გადაჭარბებით დასტურდება, არამედ საერთოდ არ არის გამყარებული, რაიმე სახის მტკიცებულებით, კოლეგიას არ აქვს დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის საკმარის საფუძვლები.

5.10 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ დგინდება ადვოკატ მ. ჩ.-სა და ზ. კ.-ს მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტებისა და მე-5 მუხლის „ა“ქვეპუნქტების და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3; მე-5

მუხლისა და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევა და ადვოკატების მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

5.11 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატებმა, ბრალდებულს არ გაუწიეს კვალიფიციური იურიდიული მომსხურება, ხოლო სანაცვლოდ N- --- სამოქალაქო დავის ფარგლებში ითხოვენ 5 000 აშშ დოლარის ანაზღაურებას. ამასთან, ადვოკატები კლიენტთან შეთანხმების გარეშე დათანხმდნენ გირაოს, 50 000 აშშ დოლარის ოდენობით გადახდას.

5.12 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატების მ. ჩ.-სა და ზ. კ.-ს მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი);

5.13 კლიენტისათვის კვალიფიციური მომსახურეობის გაწევა, მოითხოვს ადვოკატის მიერ მომსახურეობის გაწევას სპეციალიზაციის სფეროს ფარგლებში, რის შემდგომაც ეთიკის კომისია ამოწმებს, კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიის არსებობისა და ადვოკატის მიერ, დასახული სტრატეგიით საქმის წარმოებისას, შედეგებთან დაკავშირებით კლიენტის სათანადო ინფორმირების საკითხებს. აქვე მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ადვოკატის მიერ, კლიენტისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის მიუღწევლობა, თავისთავად არ მიიჩნევა არაკვალიფიციურ წარმომადგენლობად.

5.14 ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით ეთიკის კომისიის სამუშაო შეხვედრით ოქმი N04/19 შეთანხმდა დისციპლინური წარმოების პროცესში ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების კვალიფიციურობის შემოწმების ფარგლები და დადგინდა, რომ „მომსახურება კვალიფიციურობის სტანდარტს აკმაყოფილებს თუ დაცულია შემდეგი პირობები: ადვოკატი ახორციელებს მომსახურებას სპეციალიზაციის ფარგლებში; ადვოკატს სტრატეგია შეთანხმებული აქვს კლიენტთან და მოქმედებს მისი კანონიერი/ეთიკური მითითებების ფარგლებში; ადვოკატი ორიენტირებულია კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით დაიცვას მისი საუკეთესო ინტერესები და მისი მომსახურება არ არის ფორმალური ხასიათის; ადვოკატის პოზიცია ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ მან მიიღო გონივრული ზომები კლიენტის საქმეში გასარკვევად.“

5.15 „ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას.“ (ეთიკის კომისიის 2020 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №013/20)

5.16 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს გარემოებაზე, რომ ჰ. ს.-ს არ მიუთითებია და მტკიცებულებებით არ გაუმყარებია ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ახსნიდნენ ადვოკატების მიმართ მისი პრეტენზიის წარმოშობას, ადვოკატების მიერ N-- სამოქალაქო დავის წამოწყების შემდეგ და არა საქმის მიმდინარეობის პერიოდში. ამასთან, მომჩივანის ძირითადი პრეტენზია სწორედ შესრულებული მომსახურეობისა და ადვოკატების მიერ სამოქალაქო დავის პირობებში მოთხოვნილი თანხის პროპორციულობას მიემართება.

5.17 მომჩივანის პრეტენზიიდან გამომდინარე საპროცესო კოლეგია, ხაზგასმით განმარტავს, რომ მის უფლებამოსილების საკითხს არ განეკუთნება დაადგინოს, თუ რა ღირებულების მომსახურეობა გაუწიეს ადვოკატებმა ჰ. ს.-ს, აღნიშნული, სასმართლოს მიერ, სამოქალაქო დავის ფარგლებში, განსახილველი საკითხია. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ საჩივარს თან არ ერთვის შესაბამისი მტკიცებულებები, ხოლო ადვოკატები თავის მხრივ უარყოფენ მომჩივანის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს, საპროცესო კოლეგია ვერ ადგენს საჩივრის ავტორის ოჯახის მიერ ადვოკატებისთვის წინასწარ 1000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტს. გამომდინარე აქედან, საპროცესო კოლეგიას, ადვოკატების ქმედებების პროფესიულ ეთიკასთან შესაბამისობის კუთხით, რჩება მხოლოდ თავად ადვოკატების მიერ გაწეული მომსახურეობის, ეთიკის კომისიის სამუშაო შეხვედრის N04/19 ოქმით განსაზღვრულ, ძირეულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების შესაძლებლობა.

5.18 თავის მხრივ, ადვოკატებმა, კლიენტს მომსახურეობა თავიანთი სპეციალიზაციის ფარგლებში გაუწიეს, საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან არ დგინდება, კლიენტისადმი არაკეთილსინდისიერი არაგულისხმიერი დამოკიდებულების ფაქტი, რაც შეეხება კლიენტის ინფორმირებულობის საკითხს, რასთან დაკავშირებითაც საჩივრის ავტორს აქვს პრეტენზია, რომ ადვოკატებმა მასთან შეუთანხმებლად განსაზღვრეს გირაოს თანხა, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის პროცესის ბუნებიდან გამომდინარე, სადაც ბრალდებული თავად სასამართლოს მიერ მაქსიმალურად ინფორმირებულია საქმის მიმდინარეობისა თუ ბრალდებულის მიერ განსახორციელებელ ქმედებათა სავარაუდო შედეგებთან მიმართებით და მაშინ, როდესაც ადვოკატისგან დამოუკიდებლად, თუნდაც საქმის წარმოების პროცედურაც კი უზრუნველყოფს მინიმალური სტანდარტით ბრალდებულის მზაობას მიმდინარე პროცესებთან და შედეგებთან დაკავშირებით, მომჩივანის მხოლოდ სიტყვიერი მითითება, რომ ის არ იყო სათანადოდ ინფორმირებული გირაოს თანხის ოდენობასთან დაკავშირებით, ვერ დაადასტურებს ადვოკატების მიერ არაკვალიფიციური მომსახურეობის გაწევის ფაქტს. ამასთან, გირაოს თანხა აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე შეაქვს ბრალდებულს ან მისი სახელით ან მის სასარგებლოდ სხვა მესამე პირს, შესაბამისად სწორედ ბრალდებულის სურვილის შემთხვევაში ხდება, გირაოს თანხის შეტანა სადეპოზიტო ანგარიშზე.

5.19 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ დგინდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევის ფაქტი და ადვოკატების მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

5.20 რაც შეეხება კლიენტის პრეტენზიას ადვოკატების მიერ კლიენტ-ადვოკატის შეთანხმების გაყალბების თაობაზე, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ მის კომპეტენციის ფარგლებს სცდება დაადგინოს შეთანხმების ნამდვილობისა თუ არანამდვილობის საკითხი. საქმეში წარმოდგენილია მხარეებს შორის დადებული, ხელშეკრულება. ამასთან, მომჩივანის პრეტენზია, გარდა თავისი სიტყვიერი ახსნა განმარტებისა არ დასტურდება, რაიმე იმგვარი, კანონის შესაბამისად გაცემული დოკუმენტით, რომელიც უტყუარად მიუთითებდა ადვოკატების არამართლზომიერ ქცევაზე. შესაბამისად კომისია ვერ გამოიკვლევს მომჩივანის აღნიშნულ პრეტენზიას და ვერ შეამოწმებს მხარეებს შორის დადებული შეთანხმების ნამდვილობის საკითხს.

5.21 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს 32–ე, 33–ე მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.2, 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №116/22 ადვოკატების მ. ჩ.-ს /სიითი №/ და ზ. კ.-ს /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/